

1 სექცემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

2021 ოთხშაბათი

კოლ 1,1-8; ფს 51; ლკ 4,38-44

მყისვე წამოდგა და
ემსახურებოდა მათ ლკ 4,39

იესომ შერისხა სიცხე და მანაც მიატოვა ქალი: ეს იყო პეტრეს სიღედრი. იესომ განკურნა იგი... და რაოდენ მრავლისმეტყველი განკურნებით: მისი წამოდგომა ნათქვამია იმავე სიტყვით, რომლითაცაა ნათქვამი ქრისტე აღდგომა: იესომ საკუთარი სიცოცხლე მიაწოდა მას, სიყვარულის სიცოცხლე, რომლის სიხარულიც თავგანწირვაა, ძმათა მსახურება. იესო, ჩვენც განგვკურნე ჩვენ-ჩვენი თავკერძობისგან!

2 სექცემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

2021 ხუთშაბათი

კოლ 1,9-14; ფს 97; ლკ 5,1-11

ღრმად შესცურე და
მოისროლეთ ბადე ლკ 5,4

ზღვაზე გასვლა ნიშნავს მოსცილდე ნაპირის და
მიენლო ტალღებს.

დღეს იესო მთხოვს, არ ჩავებლაუჭო ჩემს მყიფე
უსაფრთხოებას, არამედ მივენლო მის სიტყვას და
გავაკეთო ის, რასაც იგი მეუბნება. თუკი სიმონის
მსგავსად ვენდობი მას, იმედები არ გამიცრუვდება,
პირიქით! მის სასუფეველში თანამოღვაწეობის
სიხარულს შევიძენ.

3 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II]

წმ. გრიგოლ დიდი, პაპი დამოდ., +604, (8), თ;
(21.VIII) წმ. სარმეან კათ., +779;

წმ. ღირსი თადეოზ (თათე) სტეფანწმინდელი, მონაზ., VII ს

2021

პარასკევი

კოლ 1,15-20; ფს 99; ლკ 5,33-39

მასში შეიქმნა ყოველივე
ცაში... კოლ 1,16

დღეს სრულად წაიკითხე ლიტურგიისათვის
განკუთვნილი საკითხავი კოლოსელთა მიმართ
წერილიდან. მასში აღმდგარი იესოს მიერ
დაპყრობილი წმიდა პავლე მოციქული გვაცნობს
თავად იესოს, ისე როგორც სულიწმიდა
შეაცნობინებს მას. ჩვენც ავითვისებთ, ცოტათი
მაინც, იმ სიყვარულს, გაკვირვებას, რწმენას,
თაყვანისცემას, მადლიერებას ყოველი რომ
ატარებს გულში, ვისაც კი იესო შეჰყვარებია.

4 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

კოლ 1,21-23; ფს 53; ლკ 6,1-5

ოდესღაც თქვენც უცხონი
და მტერნი იყავით კოლ 1,21

წმიდა პავლე კოლოსელ ქრისტიანებს შეახსენებს, რომ იესოს შეცნობამდე ისინი წარმართებად, ვნებების მონებად ცხოვრობდნენ და ღმერთს მტრად ხედავდნენ. გარკვეულწილად თითოეულ ჩვენგანს აქვს ასეთი პერიოდის გამოცდილება, რომელიც გამოისყიდა მამის გულმოწყალე სიყვარულმა, იესოს სისხლით: ჩვენ არ დავივიწყებთ მას და ვიცხოვრებთ მაღლიერ სიხარულში!

5 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირალე, «ბ», [III], მწ

2021

კვირა

ეს 35,4-7; ფს 145; იაკ 2,1-5; მარ 7,31-37

უბრძანა მათ,
არავისთვის ეთქვათ მარ 7,36

იესომ ყრუ-მუნჯი განკურნა და ყველა გაოცებული დარჩა მისით. მაგრამ მას არ სურს ამის გახმაურება. თითქოს, ჩვენზეც ლაპარაკობსო, არაჩეულებრივ მოვლენებს რომ ვართ დახარბებულნი! მან უწყის, რომ ესენი ვერ მოგვცემენ ძალებს მის შესაყვარებლად და მის კვალში სასიარულოდ ჯვრის გზაზე, რათა უკვე ამქვეყნად დავაგემოვნოთ მისი ნეტარება. და გვიმეორებს, რომ ამის ნიჭს მივიღებთ მისი სიტყვის სიყვარულით სმენითა და გაგონება-დაყოლით.

6 სექცემბერი

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

2021

ორშაბათი

კოლ 1,24 - 2,3; ფს 61; ლკ 6,6-11

მწიგნობრები და ფარისევლები
უთვალთვალებდნენ მას ლკ 6,7

უთვალთვალებდნენ იესოსკენ გაშვერილი თითით და არა გახსნილი გულით; მათ ერთი ბეწოთიც არ ებრალებოდათ ის სნეული, მხოლოდ იესოს სიძულვილი ამოძრავებდათ. ოდიდგანვე დაფარული საიდუმლო, იესო, მამის გამოვლინება და თითოეული ადამიანის ხსნა, როგორ შეიძლებოდა გამოცხადებოდა მათ დაბინდულ მზერას?

იესო, შენსკენ ვიმზირები, რათა ვიხილო
ღვთის მოსიყვარულე სახე.

7 სექცემბერი

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

კოლ 2,6-15; ფს 144; ლკ 6,12-19

მთელი ხალხი ცდილობდა
შეხებოდა მას ლკ 6,19

ერთი მშვენიერი წიგნი ჩამივარდა ხელში, რომელშიც მოთხრობილია ერთ ჩვეულებრივ სამრევლო ეკლესიაში ევქრისტის დროს მომხდარ განკურნებათა შესახებ. დამაფიქრა ამ წიგნმა: რამდენი ხანია საზღვარგარეთ ვცხოვრობ როგორც მისიონერი. ჩემი მასპინძელი ქვეყნის საავადმყოფოები საშინელ მდგომარეობაშია. ამდენი წლის განმავლობაში არ დამჭირვებია ისინი... ვფიქრობ, რომ შენი წყალობით, ძვირფასო იესო, იმ მაღლის ძალით, რომ ყოველდღე გლებულობ წმიდა ევქარისტიაში. მაღლობა!

8 სექტემბერი

შობა ნეტარი მარადქალწული მარიამისა

დ, [ს], თ

2021 ოთხშაბათი

მიქ 5,1-4 ან, რომ 8,28-30; ფს 12; მთ 1,1-16.18-23

ვალეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა;

ბათუმის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

დაარქმევ მას სახელად იესოს მთ 1,21

მარიამი დაიბადა, რათა

გამხდარიყო იესოს დედა.

მასზე და იოსებზე მეტი სიყვარულით
არავის წარმოუთქვამს იესოს სახელი.

იგი დაიბადა აგრეთვე, ჩვენს დედად:

ბედნიერი იქნება, თუკი ვისწავლით მისგან
და დავემსგავსებით მის შვილს, იესოს!

9 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

წმ. პეტრე კლავერი, ხუც., +1654

2021 ხუთშაბათი

კოლ 3,12-17; ფს 150; ლკ 6,27-38

ნუ განიკითხავთ და
არ განიკითხებით ლკ 6,37

თავმდაბლობა და გულმოწყალება ნამდვილადაა მშვიდობის გზა. არადა ხშირად ისეთი უგნური ვარ ხოლმე, რომ მოყვები მსჯელობასა და განსჯას, ჩემს ირგვლივ და ჩემში რომ სპობს მშვიდობას! დღევანდელი საკითხავები ძვირფასი საჩუქარია, მამა რომ მიწვდის, რათა დამეხმაროს, მას დავემსგავსო. კვლავ გადავიკითხავ მათ და შევეცდები დღის განმავლობაში დავიცვა გულში და გონებაში. მხოლოდ მშვიდობა და სიხარული დამრჩება ამით.

10 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III]

(28.VIII) წმ. შუშანიკი, მოწამე, +475, (მ), წ

2021

პარასკევი

1ტიმ 1,1-2.12-14; ფს 15; ლკ 6,39-42

ყველა, სწავლაგასრულებული
იქნება როგორც მისი
მოდელარი ლკ 6,40

შენსავით ვილაპარაკო, შენსავით დავინახო, შე-
ნსავით მივუტევო, შენსავით ვცე თაყვანი მამას...
აი, ჩემი ოცნება, იესო, და შენც გსურს და ძალგიძს
ამის განხორციელება. დაგყვები, რომ მომამზადო
შენს წმიდა ეკლესიაში: მოთმინებით, მონდომებით,
თავმდაბლობით, ბეჯითად. მოდი, სულს წმიდაო!

11 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

1ტიმ 1,15-17; ფს 112; ლკ 6,43-49

ვინც ჩემთან მოდის... კლდეზე
დებს საძირკველს ლკ 6,48

ხშირად, როდესაც საყვარელი ადამიანი
კვდება, ან რაიმე შეარყევს ჩვენს ცხოვრებას,
გამოღვიძებულნი ვაცნობიერებთ, რომ ამქვეყნად
ყველაფერი ჩაივლის. მაშ, რა დარჩება? იგი, ვისაც
აქვს მარადიული სიცოცხლის სიტყვები, რომელსაც
მივყავართ მარადიული სიცოცხლისაკენ, რომელიც
თავად არის მარადიული სიცოცხლე.

იესო, მოვედი შენთან შენს მოსასმენად და
გასაგონად: არაფერი ჩამოიშლება, რასაც შენთან
ერთად ავაგებ.

12 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირადღე, «ბ», [IV], მწ

2021

კვირა

ეს 50,5-9; ფს 114; იაკ 2,14-18; მარ 8,27-35

ვისაც სურს მე მომდიოს,
აიღოს თავისი ჯვარი მარ 8,34

მიჰყვე იესოს, ნიშნავს იარო მის გზაზე, ხოლო მისი გზა ღვთის ძის გზაა, იმ ღვთისა, რომელიცაა სიყვარული. მიჰყვე იესოს, ნიშნავს ატარო ეს სიყვარული და მიეძღვნა მასთან ერთად ცხოვრების ყოველდღიურობასა და გასაჭირში. მიჰყვე იესოს, ნიშნავს განიცადო ჯვრის გამარჯვება, ყოველ კვირას რომ ვზეიმობთ. ალელუია!

13 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

წმ. იოანე ოქროპირი, ეპ. და ეკ. მოძ., +407, (მ), თ

2021

ორშაბათი

1ტიმ 2,1-8; ფს 27; ლკ 7,1-10

ისრაელშიც არ შევხვედრივარ
ამნაირ რწმენას ლკ 7,9

იმ წარმართმა ასისტავმა მდაბალი და ღრმა
პატივისცემით მიმართა იესოს. სჯეროდა, რომ მისი
სიტყვა ღვთიური, შემოქმედი სიტყვა იყო.
არ გამიკვირდება რელიგიურად ჩემზე ნაკლებად
მომზადებული ხალხის რწმენა და სიყვარული.
მადლობას მივუძღვნი მამას უანგარო ნიჭთა გამო და
თავმდაბლად წარვუდგები მას და ყოველ ადამიანს.

14 სექტემბერი

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

რიცხ 21,4-9 ან, ფილიპ 2,6-11; ფს 77; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღეობა

როგორც მოხედავ ადმართა გვე-
ლი..., ასევე უნდა აღიმართოს
ქეცკაცისა იო 3,14

მამაო, თაყვანსა გცემ, მოტევებას გთხოვ და შენი შეყვარების მადლს! შენ გაეცი ქე შენი, მხოლოდშობილი, საკუთარ თავზე მეტად რომ გიყვარს! დაუშვი, რომ ჯვარზე მიელურსმათ და მომკვდარიყო, სულისა და ხორცის ტანჯვაში, რათა მარადიული სიცოცხლე მოეცა ჩემთვის, ცოდვილისთვის. იესო, ჯვარზე ხარ ჩემთვის, ყველა ჩვენგანისათვის: თაყვანსა გცემ, მოტევებას გთხოვ და შენი შეყვარების მადლს!

15 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

მგლოვიარე ნეტ. ქალწ. მარიამი (მ), [ს], თ

2021

ოთხშაბათი

ებრ 5,7-9; ფს 30; იო 19,25-27 ან, ლკ 2,33-35

არალში შუა ფარეხის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იგი აქაა, რათა გამელავნდეს
ძრავალი გულის ბრახვანი ლკ 2,35

იესოს კვალში სიარული შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მართლა გიყვარს ის. კომპრომისებსა და სანახევრო ნაბიჯებს ადრე თუ გვიან ნიღაბი ჩამოეხსნება და ჯვრის წინაშე ჩამოიშლება.

ყოვლადწმიდა მარიამი არ ჩამოშლილა. ჯვრის ქვეშ გამოჩნდა მისი „ჰოს“ სინამდვილე, რომელიც შერწყმული იყო იესოს „ჰოსთან“, „ჰო“ სიკვდილამდე, მეტიც, აღდგომამდე, მარადიული „ჰო“.

16 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

წმმ. კორნელიუს პაპი, +253 და
კვიპრიანე ეპ., +258, წამებულნი, (მ), წ

2021

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი

1ტიმ 4,12-16; ფს 110; ლკ 7,36-50

მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)

შენმა რწმენამ გიხსნა შენ ^{ლკ 7,50}

იმ საბრალო ცოდვილმა მიიღო მამის ნიჭი,
სიყვარულის, სიკეთის, წყალობის ღვთის ნიჭი:
მიიღო რწმენა. მართლაც, მიეახლა იესოს როგორც
იმას, ვისაც მისი ხსნა შეეძლო.

ჩვენც ვაგემოვნებთ მამაზეციერის ნიჭს, როცა
ყველაზე მცირე თუ ყველაზე დიდ საჭიროებაში,
სასოებით მივაკითხავთ ხოლმე იესოს.

17 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV], მწ

წმ. რობერტ ბელარმინო, ეპ., მოძ., +1621

2021

პარასკევი

1ტიმ 6,2-12; ფს 48; ლკ 8,1-3

ყოველგვარი ბოროტების ფესვი კერცხლისმოყვარეობაა 1ტიმ 6,10

ამგვარად იმეორებს წმიდა პავლე იესოს სიტყვას, ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და ფულსაცო.

მოდით, სულო წმიდაო! შენ იყავ ეკლესიის გული: უპოვარი გული, ოდენ იესოს სიყვარულით მდიდარი გული; გული, რომელსაც ცოტაც ჰყოფნის, იმისათვის, რომ შეამჩნიოს ტანჯული და ნუგეში სცეს მას; ამაქვეყნის ბატონისგან თავისუფალი გული, რათა შეძლოს მიანიჭოს სამყაროს მარადიული სიცოცხლე.

18 სექტემბერი

რივთი XXIV კვირა [IV], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

1ტიმ 6,13-16; ფს 99; ლკ 8,4-15

გამოვიდა მთესავი თავისი თესლის თესვად ლკ 8,5

არ ვიცი, რა თესლი, რა სიტყვები დაეცემა დღეს ჩემი
დღის ნიადაგზე. ალბათ: არ განიკითხოთ, მიუტევეთ,
უკანასკნელი ადგილი დაიკავე, ნუ გეშინია, ილოცეთ
მოუღლელად, ნეტარ არიან მშვიდობის მოქმედნი,
შეხედეთ ველის შროშანებს... და მრავალი სხვა.

შევთხოვ წმიდა სულს, შემეწიოს არ გავთელო ეს
მარცვლები, არამედ განვახორციელო ცხოვრებაში,
სიცოცხლის და მშვიდობის ნაყოფს რომ გამოიღებს
ჩემთვის და მრავალთათვის.

19

სექტემბერი

რიგითი XXV კვირადღე, «ბ», [1], მწ

2021

კვირა

სიბრძ 2,12:17-20; ფს 53; იაკ 3,16-4,3; მარ 9,30-37

სიკვდილის შემდეგ, მესამე ღღეს აღდგება მარ 9,31

იესო, ეს სიტყვები ცხადყოფს შენი მისიის გულის გულს: მოკვდე და აღდგე. ეს არის გზა, რომლითაც მამის სიყვარულმა მოაღწია ჩვენამდე. შენ ის მიიღე შვილობრივი სიყვარულით.

მეც მინდა მივიღო ჩემი ყოველდღიური ჯვრები, მინდა მეც მოვკვდე და კვლავ აღვდგე შენთან ერთად, დარწმუნებული იმაში, რომ მამა განაგრძობს ამ იღუმალის გზის, სიბნელისა და სინათლის გზის კურთხევასა და ნაყოფით ავსებას.

20 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [1]

წმ. ანდრეა კიმის, მღვდლისა და
მეგობართა, წამ., +1839-1866, (მ), წ

2021

ორშაბათი

ეზღ 1,1-6; ფს 125; ლკ 8,16-18

არავინ ანთებს სანთელს
იმისათვის, რომ ჭურჭელი
დააფაროს ზედ, არამედ
სასანთლებზე დგამს ლკ 8,16

როდესაც რწმენისაგან შორს ვიდექი, საწუთროს
წყვედიადში ჩაფლული, გავიცანი რამოდენიმე შენი
მოწაფე: მათი მზერა, მშვიდობა, უანგარო სიყვა-
რულის ქმედებანი ემეტყველებოდნენ ჩემს სევდიან
გულს მრავალ სიტყვაზე უკეთ. ისინი ვერ ხვდებოდ-
ნენ, როგორ აქცევდი მათ ჩემთვის შუქად და სითბოდ.
ზოგი მათგანი ახლა შენთანაა, ზეცად, თუმცა მე
ისინი კვლავაც კარგად მახსოვს: მიყვარს ისინი,
ვცხოვრობ მათთან ერთად. მაღლობა იესო, შენს
წმიდანთათვის!

21 სექტემბერი

წმ. მათე,
მოციქული და მახარებელი, დ, [ს], წ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

ეფ 4,1-7:11-13; ფს 18; მთ 9,9-13

მომყევი მთ 9,9

„მომყევი“: იესოს ამ მოწვევამ შეცვალა მათეს ცხოვრება. ამ სიტყვამ მიაღწია მის გულს და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გადააწყვეტინა, მიეტოვებინა ყველაფერი და ამ ესოდენ განსხვავებულ მოძღვარს დამოწაფებოდა. იესოს წყალობა და ნდობა ღრმად შეეხო მას და შეაძლებინა თავის მოძღვარსა და მაცხოვართან თანამოღვაწეობისათვის მიეძღვნა თავი. წმიდაო მათე, იესოს სიტყვით, ნაწერიტა და, უპირველესად, ცხოვრებით მაუწყებელო, უმუამდგომლე ეკლესიას ერთგულებაში.

22 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I], მწ

2021 ოთხშაბათი

ეზღ 9,5-9; ფს: ტობ 13,2-5; ლკ 9,1-6

წარგზავნა ისინი ღმრთის
სასუფევლის საქადაგებლად
და უთხრა მათ: „ნურაფერს
წაიღებთ გზაში“ ლკ 9,2-3

იესო, შენ გსურს რომ უპოვრებს გვხედავდე და მიგვაველენ უპოვრებს. უკვე წლებია, რაც თებერვალში ჩვენი ძმები მისიაზე გვგზავნიან. ჩვენი სახლის საკუჭნაოები სავსეა, ხოლო იქ, სადაც ჩავდივართ – სიღარიბეა. და ჩვენი თვალით ვხედავთ, როგორ ზრუნავს მამა ჩვენზე, დლითი დღე, და როდესაც შობაზე შინ ვბრუნდებით, ჩვენი ღარიბებისთვის გასაზიარებელი გვხვდება. მადლობა, კეთილო მამაო!

23 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [1]

წმ. პიო პეტრელჩინელი, ხუც., +1968, (მ), თ

2021

ხუთშაბათი

ანგ 1,1-8; ფს 149; ლკ 9,7-9

ბევრს თესავთ, მაგრამ
ცოცხას მკით ანგ 1,6

ანგია წინასწარმეტყველი ღმერთის სიტყვას მიმართავს ტყვეობიდან დაბრუნებულ ერს: სიტყვას, რომლითაც მიუთითებს დამლუპველ შეცდომებზე და ანათებს; სიტყვა, რომელიც ახალ გზებს გვიჩვენებს, სიცოცხლისა და დახსნის გზებს; სიტყვა, რომელიც იძლევა ძალასა და სიხარულს მშვიდობისა და ძმობის სამყაროს ასაშენებლად. ესაა იმის სიტყვა, ვინც სიყვარულით შეგვქმნა! მეც მსურს ვისმინო ის.

24 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I], მწ

2021

პარასკევი

ანგ 1,15-2,9; ფს 42; ლკ 9,18-22

თქვენ კი რას იტყვით,
ვინა ვარ მე? ლკ 9,20

თითქოს აქ და ახლა გაისმისო შენი სიტყვა, იესო: „შენთვის კი, ვინა ვარ მე?“. ვგრძნობთ, რომ განსაკუთრებული სახით გვეხება შენი სიყვარული: შენ სათითაოდ აგვირჩიე უამრავ ჩვენზე უფრო ლამაზ, ყოჩაღ და კეთილ ხალხს შორის. მადლობა! ვიცით, რომ მაცხოვარი ხარ, რომ შეგვიძლია მოგენდოთ შენ, მუდამ! გმადლობთ შენ, თაყვანსა გცემთ და მოგედღვნებით სიხარულთ!

25 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [1], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

ზაქ 2,5-9,14-15; ფს: იერ 31,10-12,13; ლკ 9,43-45

ძე კაცისა მიეცემა კაცთა ხელში ლკ 9,44

იესო ეუბნება თავის მოწაფეებს, რომ გონებაში ჩაიბეჭდონ ეს სიტყვები, იგი უნდა გაცემულიყო კაცთა ხელში. და ის ამას ამბობს სწორედ მაშინ, როდესაც „ყველა აღფრთოვანებული იყო ყველაფრით, რაც მან გააკეთა“. იესომ იცოდა, რომ ჯვრის გავლა უწევდა და სიყვარულით მიიღო ჯვარი. მსგავსადვე, არა სურს რომ მისიანებმა ეძიონ სხვა, თვალის ამხვევი და იმედების გამცრუებელი გზები.

26 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირალე, «ბ», [11], მწ
წმ. დიდმოწამე ქეთევანი, წამ., +1624 (მ) წ;
კვირა

2021

რიცხ 11,25-29; ფს 18; იაკ 5,1-6; მარ 9,38-43.45.47-48

ვინც ჭიქა წყალს მოგაწვდით
ჩემი სახელით... მარ 9,41

„... ვინაიდან თქვენ ქრისტესი ხართ, იგი ჯილდოს არ დაკარგავს“. იესო, მადლობა ამ სიტყვისათვის.

ის მაძლევს საშუალებას, სიხარულით მივიღო სიყვარულის უმცირესი ნიშანიც კი იმისაგან, ვინც, თუნდაც არ იყოს შენი წმიდა ეკლესიის წევრი, მიწვდის მას, რადგან შენი ვარ. სიხარულს თან ახლავს სურვილი და ძალისხმევა, ნამდვილად ვიყო შენი.

27 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. ბიკენტი დე პოლი, ხუც., +1660, (მ), თ

2021

ორშაბათი

ზაქ 8,1-8; ფს 101; ლკ 9,46-50

ვინც ამ ბავშვს მიიღებს ჩემი
სახელით, მე მიმიღებს ლკ 9,48

იესოს მოწაფეები კამათობდნენ, რომელი მათგანი იყო ყველაზე დიდი. იესო მოთმინებით ერევა და განაგრძობს ჩარევას და დღესაც უნათებს თავის მოწაფეებს: დიდია მხოლოდ ის, ვინც მას მიიღებს გულში. მას უყვარს ყველა მცირე და იმალება მათში და ყველაფერში, რაც მცირეა.

28 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირა [II], 8წ

(15.IX) წმ. აბბა იოსებ ალავერდელი, აბატი და ეპ., +570;

წმ. ვიჩესლავი, წამ., +935;

წმმ. ლავრენტი რუის და მეგ., წამ., +1633-37

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

ზაქ 8,20-23; ფს 86; ლკ 9,51-56

თქვენთან წამოვალთ, რადგან
გაგებული გვაქვს, რომ თქვე-
ნთან არის ღმერთი ზაქ 8,23

ჩვენ, იესოს ეკლესია, ახალი ისრაელი, დიდი ნიჭისა და პასუხისმგებლობის მატარებელნი ვართ: უფალი ჩვენ მოგვანდობს თავის ყოფნას! იგი აკავშირებს მას ჩვენს ურთიერთ სიყვარულთან, ჩვენს ერთობასთან. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გვსურს ძალისხმევა არ დავიშუროთ ამისათვის: ნამდვილი ღმერთის გაცნობას და კურთხევას შეძლებს მრავალი ჩვენი.

29 სექტემბერი

წმმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ
მთავარანგელოსნი, დ, [ს], თ

(16.IX) წმ. მოწ-ნი ისააკი და იოსებ, კარნუ-ქალაქში წამებულნი, +808

2021 ოთხშაბათი

დან 7,9-10.13-14 ან, გამოცხ 12,7-12; ფს 137; იო 1,47-51

ინილავთ ღმრთის ანგელოზებს,
კაცის ძეგ ალმავალთ და
გადმომავალთ იო 1,50

იესოა ანგელოზთა ქმედების გული და, რაც
მთავარია, მათი თაყვანისცემის გული. ისინი
ადამიანთა სამსახურში დგანან, რათა დაგვეხმარონ
ვიცხოვროთ კაცის ძედ გამხდარი ღვთის ძის მიერ
გახსნილი ზეცის ქვეშ.

მადლობა, მამაო, ამ უძლიერეს შემწეთათვის,
რათა იესო იყოს ჩემი ცხოვრების გული,
ისევე, როგორც ნათანაელისათვის.

30 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. იერონიმე, ხუც. და მოძ., +420, (მ), თ

2021

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი

ნეემ 8,1-4.5-6.7-12; ფს 18; ლკ 10,1-12

სამკალი ბევრია, მაგრამ
ცოცხანი არიან მომკალნი ლკ 10,2

იესო, შენ კვლავ იმეორებ ამ სიტყვებს. შენ ძლიერ გჭირდება ისინი, რომლებიც ითანამშრომლებდნენ შენთან, რათა სიცოცხლე მიაწოდონ მამის საყვარელ ადამიანებს. ისინი იქნებიან შენი სულის – სიყვარულის, სიბრძნის, მშვიდობის სულის – მატარებელნი. დღეს ჩვენცა ვთხოვთ მამას ამგვარ მუშაკებს და თან ვურთავთ ლოცვას შენი სიტყვის ბოლომდე გაგონებისა და დაყოლის ნებას.